ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7089723

ნომერი: AR11041971

თარიღი : 13.06.2024

გაცემის თარიღი : 20.06.2024

გაცნობის თარიღი : 24.06.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 13 ივნისს №AR11041971 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 22

თებერვლის №6897964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.036.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო სამსახურის 2024 წლის 20 მაისის №7030093 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 20 მაისიდან 2026 წლის 20 მაისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილია ავტოსადგომების (127.6 კვ.მ) და საზაფხულო (32.4 კვ.მ.) ფართობების მითითება. ასევე, სურს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას კომერციული ფართობი 32.4 კვ.მ.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმაზე „1-3“ და „დ-ა“ ღერძებში მდებარეობს შიდა ავტოსადგომები, რომელთა საერთო ფართობი არ არის ასახული ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. ამასთან, დგინდება, რომ +3.00 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს საზაფხულო ფართობები (აივნები), რომელთა ფართობი ასევე, არ არის ასახული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. გარდა აღნიშნულისა, გეგმების გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ შეთანხმებულ გეგმებზე არ ფიქსირდება კომერციული ფართობები. აღნიშნული ფართობების გასწორება იწვევს საერთო ფართობის დაზუსტებას და იგი შეადგენს 340.3 კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში და:

1.1. სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს ავტოსადგომების ფართობი 127.6 კვ.მ და საზაფხულო 32.4 კვ.მ.

1.2. სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებით შეთანხმებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას კომერციული ფართობი 32.4 კვ.მ.

1.3. სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებაში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 340.3 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.

3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 თებერვლის №6897964 ბრძანებასთან ერთად.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.